პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

1975 სამშაბათი 8 აპრილი № 82 (16208) ფასი 2 კაპ. 1975

სამეცნიერო დაწესებულებების კომუნისტები

ლენინგრადის საოლქო პარტორგანიზაციის აქტივის კრებაზე, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის შედეგებს განიხილავდა, ბევრი დაინტერესა ლენინგრადის „მედროპროექტის“ ინსტიტუტის კოლექტივის საქმეებმა და გეგმებმა. კომუნისტთა ინიციატივიან აქ გაჩაღებულია შეჯიბრება შესასრულებელი სამუშაოთა ხარისხისა და შედეგიანობის ამაღლებისათვის, წარმოებასთან კავშირის განმტკიცებისათვის. პარტიის საოლქო კომიტეტის ხელშეწყობით ბევრი რამ გაკეთდა მეცნიერთა ღონისძიებების კოორდინაციისათვის. მიღებულია ერთობლივი სოციალისტური ვალდებულებანი საიან-შუშენსკოეს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მონაწილე მთელი რიგი სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო ორგანიზაციებისა და საწარმოების შემოქმედებითი თანამეგობრობის შესახებ. ამ ვალდებულებებში განსაზღვრულია მშენებლობის ძირითადი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები, მეცნიერების უახლეს მიღწევათა გამოყენება.

სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობის შემდგომი სრულყოფისათვის პარტიული ზრუნვის გაძლიერება თვით ცხოვრების მოთხოვნაა. ჩვენს ეპოქაში, როცა სულ უფრო მეტად ვლინდება მეცნიერების, როგორც საზოგადოების უშუალო მწარმოებელი ძალის როლი, თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXIV ყრილობაზე, მთავარი ხდება უკვე მისი არა ცალკეული მიღწევები. რა ბრწყინვალეც უნდა იყოს ისინი, არამედ მთელი წარმოების მაღალი მეცნიერულ-ტექნიკური დონე. ასეთი ამოცანა გულისხმობს მეცნიერების ეფექტიანობის ამაღლებას, ფუნდამენტური კვლევის ფართოდ გაშლას. ძალების კონცენტრაციას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უაღრესად დიდმნიშვნელოვანი და პერსპექტიული მიმართულებებით.

ამ მოთხოვნათა პრაქტიკულ განხორციელებას ექვემდებარება ახლა სამეცნიერო დაწესებულებათა პარტორგანიზაციების მთელი მუშაობა. მას განსაკუთრებული მიზანსწრაფვა და გაქანება მიენიჭა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 250 წლისთავის იუბილესათვის მზადებასთან და დღესასწაულთან დაკავშირებით. მეცნიერები ცდილობენ ღირსეულად აღნიშნონ

PRAVDA

7 აპრილის მოწინავე

სახელოვანი თარიღი, ახალი წვლილი შეიტანონ მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში. კომუნისტები მოწოდებული არიან ამისათვის წარმართონ მკვლევართა შემოქმედებითი ენერგია.

სამეცნიერო დაწესებულებათა პარტორგანიზაციები, იყენებენ რა ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლის უფლებას, რომელიც მათ სკკპ XXIV ყრილობამ მიანიჭა, უფრო ღრმად სწავლობენ კოლექტივთა ცხოვრებას, ცდილობენ აამაღლონ თვითეული თანამშრომლის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, ავითარებენ ქმედითი სოციალისტურ შეჯიბრებას. წარმატებით სრულდება პირადი შემოქმედებითი გეგმები, საყოველთაო აღიარება მოიპოვეს ხელშეკრულებებმა საწარმოებთან თანამშრომლობის შესახებ. ყურადღებას იმსახურებს გამჭოლი დაგეგმვის გამოცდილება — კვლევის დაწყებიდან სიახლის სამრეწველო გამოყენებამდე. თავიანთ დანიშნულებას ამართლებენ ეგრეთ წოდებული კომპლექსური ბრიგადები, რომლებშიც შედიან მეცნიერები, სპეციალისტები და მუშები წარმოების ერთობლივი სრულყოფის მიზნით.

ახლის გრძნობას, დროისათვის ფეხის აწყობისადმი მისწრაფებას დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველგვარ საქმეში, მეცნიერებაში კი — მით უმეტეს, აქ განსაკუთრებით შეუწყნარებელია კონსერვატიზმი და უძრაობა. მაგრამ განა ყველგან არის უზრუნველყოფილი შემოქმედებითი მიდგომა მუშაობისადმი. დროულად იყენებენ პროგრესულ მეთოდებს? თებერვალში გამართულ სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა, რომ ზოგიერთ სამეცნიერო დაწესებულებაში კვლევის თემატიკას ხუსტად უკავშირდებენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების საჭიროებანი. ამოცანებს, მთელ რიგ ნამუშევართა დონე დაბალია, ყველგან როდი ზრუნავენ, მათი ეკონომიური დასაბუთებისათვის.

სამეცნიერო დაწესებულებათა კომუნისტებმა, რომლებიც ტექნიკური პროგრესისათვის ნამდვილი მებრძოლები არიან, უნდა უზრუნველყონ ქმედითი კონტროლი კვლევის ხარისხისადმი. მისი პრაქტიკული გამოყენებისადმი, ყოველნაირად შეუწყონ ხელი მეცნიერთა და წარმოების მუშაკთა კავშირის განმტკიცებას. სრულყონ ნახალისების სისტემა. მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ძალებსა და საშუალებებს თავი მოვუყაროთ იმ კარდინალური პრობლემების გადაჭრისათვის, რომლებიც განსაზღვრავენ ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის არა მარტო დღევანდელ დღეს, არამედ პერსპექტივასაც. საქმის ამ მხარეს ყოველთვის როდი ეთმობა ჯეროვანი ყურადღება. ამის შედეგად მთელი რიგი ინსტიტუტების მეცნიერულ-კვლევითის საქმიანობას ახასიათებს თემების დაწვრილმანება, სამუშაოთა წრის აქ განსაზღვრავენ არა დასახულ ამოცანათა აქტუალობითა და მნიშვნელობით, არამედ ვიწრო უწყებრივი, მეკერძოებითი ინტერესებით.

ამგვარი ნაკლოვანებანი ჩვეულებრივ წარმოიშობა იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციები არ იჩენენ აქტივობასა და პრინციპულობას გეგმების შედგენის დროს, სუსტად იყენებენ თავიანთ საწესდებო უფლებებს საქმის ვითარებაზე მეტი გავლენისათვის. ასეთი გავლენის ეფექტიანი საშუალებაა პარტიული კრებები. მაგრამ ისინი ზოგან ეწყობა ფორმალურად, თვისებრივი მაჩვენებლების სეროზული ანალიზის გარეშე, კომუნისტთა განსახილველად არ გამოაქვთ მათი ავანგარდული როლის გაძლიერების, მეცნიერული საქმიანობის ნაყოფიერების ამაღლების საკითხები.

ამ ნაკლოვანებებიდან ბევრი უწინარეს ყოვლისა აიხსნება იმით, რომ პირველად ორგანიზაციებს. მათს ბიუროებს არ შესწევთ უნარი გამოძებნონ და პრაქტიკულად გამოიყენონ კოლექტივებში მუშაობის ყველაზე ეფექტიანი ფორმები. აღვნიშნავ გამოცდილებით სამეცნიერო დაწესებულებათა კომუნისტებში — ეს პარტიული კომიტეტების უპირველესი ხაზრუნავი. აქ დიდი შესაძლებლობებია. მაგალითად, პარტიის კიევის საქალაქო კომიტეტი რეგულარულად აწყობს სამეცნიერო დაწესებულებათა პარტორგანიზაციების მდივანთან შეხვედრებს, ეთათბირება მათ. შექმნილია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ცალკეულ მიმართულებათა მუდმივმოქმედი კომისიები. ეს კომისიები განაზოგადებენ მეცნიერთა და წარმოების მუშაკთა თანამშრომლობის პრაქტიკას, აწყობენ მეცნიერების მიღწევათა დათვალიერებებს. კომისიების ყველაზე მნიშვნელოვან რეკომენდაციებს განიხილავს საქალაქო კომიტეტი და განსაზღვრავს ყოველივე ახლის, პროგრესულის უსწრაფესი გამოყენების საშუალებებს.

კომუნისტთა ვალია აქტიურად შეუწყონ ხელი მეცნიერული კოლექტივების განმტკიცებას. ამ კოლექტივებში ამხანაგური მომთხოვნელობისა და ურთიერთდახმარების ატმოსფერის შექმნას. თვითეულ თანამშრომელს უნდა მივცეთ შესაძლებლობა სრულად გამოავლინოს ინიციატივა და უნარი. მეტი დაინტერესება გამოიჩინოს შემოქმედებითს ძიებაში. მეტი პირადი პასუხისმგებლობა იგრძნოს მეცნიერული გეგმების შესრულებისათვის. მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ინსტიტუტების თანამშრომლებს ჩვეულებრივ საზოგადოებრივი საქმიანობის, ცოდნის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა პროპაგანდაში მონაწილეობის სურვილი.

სამეცნიერო დაწესებულებათა პარტორგანიზაციების ავტორიტეტსა და პრესტიჟზე ინიციერება, მათი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა ხელს შეუწყობს მეცნიერთა შემოქმედებითს აქტივობას, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში. სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის საერთო სახალხო ბრძოლაში მათი წვლილის ზრდას.

არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალურ მდივანს, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტს

ჰაფეზ ასადს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელით, ძვირფასო ამხანაგო ჰაფეზ ასადი, და არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის VI რეგიონალური კონფერენციის დელეგატებო, მხურვალედ მოგესალმებით და გისურვებთ წარმატებას კონფერენციის მუშაობაში.

თქვენი პარტიის V რეგიონალური კონფერენციის შემდეგ განვლილ პერიოდში სირიის არაბთა რესპუბლიკამ არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობით დიდმნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და პროგრესულ სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა გაღრმავების საქმეში. ქვეყანაში დიდი ძვრები მიმდინარეობს სოზოგადოებრივი ურთიერთობის დარგში. პროგრესული ეროვნული ფრონტის შექმნამ, რომლის ფარგლებში ვითარდება არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის თანამშრომლობა სირიის კომუნისტურ პარტიასთან და სხვა პატრიოტულ ორგანიზაციებთან. სირიის არაბთა რესპუბლიკის მუდმივი კონსტიტუციის მიღებამ, რომელმაც განამტკიცა მისი პროგრესული კურსი, მართვის უმაღლესი, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების ჩატარებამ, ანტიიმპერიალისტურმა სგარეო პოლიტიკამ — ყოველივე ამან ხელი შეუწყო სირიელი ხალხის შინაპოლიტიკური ერთობის განმტკიცებას, მისი რესურსების მობილიზაციას ისრაელის აგრესიის მოსაგერებლად და ახალი ცხოვრების მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად.

საბჭოთა ადამიანები დიდი სიმპათიით ეკიდებიან სირიელი ხალხის ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავს საზოგადოების სამართლიან გარდაქმნას და იმ დაბრკოლებების დაძლევას, რომლებსაც პროგრესის მტრები უქმნიან მას თავისუფლებს, სოციალიზმისა და კეთილდღეობის აშენებულ გზაზე. ჩვენი ქვეყანა თანამიმდევრულად უჭერს მხარს სირიელ და სხვა არაბ ხალხებს, რომლებიც იბრძვიან ისრაელის მიერ ოკუპირებული მთელი არაბული ტერიტორიების განთავისუფლებისათვის, პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ ეროვნულ უფლებათა აღიარებისა და ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის.

ჩვენ დიდად ეიფასებთ საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ წარმატებებს ეუსურვებთ სომეხეთის კომუნისტურ პარტიასთან ურთიერთობის განვითარების კურსს, რომელსაც არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია იდგას.

მეგობარ არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიას, მთელ სირიელ ხალხს შემდგომ წარმატებებს ეუსურვებთ სამშობლოს ეროვნული დამოუკიდებლობის, მთელი მისი დემოკრატიული და ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობის განმტკიცებაში, მშვიდობის, თავისუფლებისა და პროგრესის საკეთილდღეოდ.

ლ. ბრეჟნევი.

უნგრეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ჩამოსვლა

7 აპრილს მოსკოვში „განთავისუფლებული უნგრეთი, 1945-1975“ საიუბილეო გამოფენის გახსნაზე ჩამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟ. ნ. ფოლიკეტი.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ენე ფოკი.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

ესტონურ ენაზე

ტალინი, 7 აპრილი. (საკდესი). გამომცემლობა „ესტი რაამატმა“ ესტონურ ენაზე გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და სტატიების მეოთხე ტომი „ლენინური კურსით“. წიგნში შეტანილ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები, მოხსენებები და გამოსვლები, რომლებიც ეხება 1972-1974 წლებს.

მეტალურგთა გამარჯვება

ქართველმა მეფოლადეებმა პირველ კვარტალში შეასრულეს წლისათვის ნაკისრი შემხვედრი გეგმა

რუსთავი. (საკ. კორ.). საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულმა ქართველმა მეტალურგებმა ახალი შრომითი წარმატება მოიპოვეს. პირველი კვარტალის გეგმის გადამეტებით გამოადნეს 13.500 ტონა ფოლადი და ამით უკვე შესასრულეს წლისათვის ნაკისრი შემხვედრი გეგმა.

გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ავრეთვე ათასობით ტონა კოქსი, ალუმინრატი, თუჯი, მზა ნაგლინი, მილები და სხვა მეტალურგიული ნაწარმი. საერთო პროდუქციის გამოშვების კვარტალური დავალება მეტალურგებმა 105,8 პროცენტით გაანაღდეს, ხოლო პროდუქციის რეალიზაციისა — 104,7 პროცენტით. სრულად არის შესრულებული ყველა დავალება, რასაც მეტალურგებმა პირველად მიაღწიეს თავიანთ საქმიანობაში.

ჭარხნის (დირექტორი ო. სულაძე, პარტიული კომიტეტის მდივანი კ. ბაქრაძე) კოლექტივი სამამულო ომის 30-ე წლისთავის სახელოვანი იუბილესადმი მიძღვნილ ვახტზე დგას და შრომობს დვეზით — „100 დამკვრელური დღე“.

ზ. მერკვილაძე.

მასობრივად

სოხუმი. (საკ. კორ.). ტრადიციული შაბათობისათვის ენერგიულად ემზადება სოხუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივი. პარტიულმა ბიურომ სპეციალური გადაწყვეტილება ელინური შაბათობის მოწყობის საკითხი და სათანადო ღონისძიებანი დასახა, გამოვიდა კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი, შეიქმნა შაბათობის მომწყობი შტაბი.

შაბათობის დღეს წარმოებაში იმუშავებს 1.300 კაცი. ხოლო კომბინატის ტერიტორიის კეთილმოწყობაზე, საამქროებსა და კომბინატის გარშემო ქუჩების დასუფთავებაზე — 100 კაცი. წინასწარი ვარაუდით, იმ დღეს გამოუშვებენ 6.700-ზე მეტ წყვილ ფეხსაცმელს, 128.000 კვადრატულ დეციმეტრ ტყავს, რეალიზებული იქნება 26.700 მანეთის პროდუქცია, ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ფონდში ჩაირიცხება 1.800 მანეთი.

ი. გოგეჩია.

დამამთავრებელი წლის კალენდარი

200 — მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია — გეგმის გადამეტებით!

120 — მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება — ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით!

მეორე კვარტალი: ყოველი დღე, ყოველი საათი დამკვრელური! გამოვუშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით!

ხუთწლედის დამლევამდე 267 დღე დარჩა

ეს დღეები სოფლად

19 აპრილს კომუნისტური შაბათობაა

წინასწარი გეგმით

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). ლენინური შაბათობის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით თბილისის პუროროდუქტების კომბინატში (დირექტორი გ. კიკვაძე) შეიქმნა სპეციალური შტაბი, რომელსაც პარტბიუროს მდივანი ბ. ჭელიძე უდგას სათავეში. შტაბმა უკვე შეიმუშავა სამოქმედო გეგმა. ცალკეულ საამქროებს მიეცათ კონკრეტული დავალებები.

კომბინატის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს შაბათობის დღე მაღალნაყოფიერი შრომით აღნიშნოს. განსაკუთრებით დიდი და პასუხსაგები ამოცანა აკისრია კომბინირებული საკვების საამქროს (უფროსი თ. ფხაკაძე). მან ამ დღეს 320 ტონა კომბინირებული საკვები უნდა დაამზადოს.

წისქვილის საამქრო (უფროსი გ. ჩაჩუა) კი დამზადებულ 450 ტონა მაღალხარისხოვან პურის ფქვილს მიაწვდის მომზმარებლებს.

თ. კინწურაშვილი.

ბოლოს

ბოლოეთი. (საკ. კორ.). ტრადიციული შაბათობისათვის ენერგიულად ემზადება ბოლოეთის ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივი. პარტიულმა ბიურომ სპეციალური გადაწყვეტილება ელინური შაბათობის მოწყობის საკითხი და სათანადო ღონისძიებანი დასახა, გამოვიდა კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი, შეიქმნა შაბათობის მომწყობი შტაბი.

შაბათობის დღეს წარმოებაში იმუშავებს 1.300 კაცი. ხოლო კომბინატის ტერიტორიის კეთილმოწყობაზე, საამქროებსა და კომბინატის გარშემო ქუჩების დასუფთავებაზე — 100 კაცი. წინასწარი ვარაუდით, იმ დღეს გამოუშვებენ 6.700-ზე მეტ წყვილ ფეხსაცმელს, 128.000 კვადრატულ დეციმეტრ ტყავს, რეალიზებული იქნება 26.700 მანეთის პროდუქცია, ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ფონდში ჩაირიცხება 1.800 მანეთი.

ი. გოგეჩია.

ფოთელწყაროს. (საკ. კორ.). სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობამ ერთ-ერთმა პირველმა დაამთავრა მზესუმზირას თესვა 600 ჰექტარზე და შეუდგა სამარცვლე სიმინდის თესვას. თესვაში დაწინაურდა მემინდვრეობის ბრიგადა, რომელსაც ზ. ნათელაძე ხელმძღვანელობს. მექანიზატორებმა სერგო გოგელაშვილმა და შენგელი პაპაშვილმა გადაწყვიტეს მოსავლელად გაიპროგნონ 50-50 ჰექტარი სიმინდის ნათესი, დაამუშაონ მექანიზმებით და საშუალად ჰექტარზე უზრუნველყონ 40 ცენტნერი სიმინდის მარცვლის მოღება.

სურათზე: სიმინდის თესვა სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში.

ბ. პრქანენკოს ფოტო.

დაწინაურდნენ

დღითიდღე ძლიერდება საგაზაფხულო კულტურების თესვის ტემპი მცხეთის რაიონის დიღმის მერქვეობა-მეზოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში. მექანიზატორები ვ. ქობულაშვილი, გ. მძღლაშვილი, ვ. ძანიაშვილი ბოსტნეული კულტურების თესვის ყოველდღიურ დავალებას ერთიორად ასრულებენ, ჭარხალი, ხახვი, სტაფილო და სხვა ბოსტნეული უკვე 150 ჰექტარზე დათესეს.

ტრაქტორისტმა ვახტანგ ძანიაშვილმა პირობა დადო, 34 ჰექტარზე ესპარტეტის თესვა 8 აპრილისათვის დაემთავრებინა. ეს დავალება უკვე გაანაღდა და ახლა სიმინდის თესვას შეუდგა.

მოწინავეთა რიგებშია მექანიზატორი ს. მახრამოღლიე.

მინდვრის სამუშაოებში წინ მიდიან ის ბრიგადები, რომელთა ხელმძღვანელები არიან ტ. კოტორაშვილი, ზ. გაჩეჩილაძე, შ. კოტორაშვილი.

შ. ბოჭუა.

სწრაფად, ხარისხოვნად

აბაშა. (საკ. კორ.). შარშან აბაშელებმა შრომითი გმირობა გამოიჩინეს. მოიყვანეს 15.614 ტონა ხიმინდი, საშუალოდ ჰექტარზე — 29,6 ცენტნერი. ახლა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მიწის თესვისწინა მოამზადება. დაწინაურდნენ სუჯუნის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორები ძმები რაულ და რევაზ ჭიჭინაველები. ისინი კისრულობენ 100 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 30 ცენტნერი სიმინდი. სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც ინჟინერ-მექანიზატორი დ. ბაჭარავა მეთაურობს, ნორიოს კოლმეურნეობაში ნიადაგის პირველი დამუშავება ჩაატარა 960 ჰექტარზე.

ბ. მილიუტინი.

არჩევნების შესახებ

კანდიდატების დასახელება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებში

ცხინვალის ავტოსარემონტო ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა გადაწყვიტეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ ცხინვალის № 391 კარლ მარქსის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დაასახელონ ამ ქარხნის მოწინავე მუშა ლ. ხ. ბიბილოვი.

ლენინგორის რაიონის სოფელ ლარგვისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ლენინგორის რაიონის № 399 ლენინგორის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დაასახელა ამ კოლმეურნეობის მოწინავე კოლმეურნე ხ. ა. კენკაძე.

ცხინვალის რაიონის თამარაშენის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების პირველადმა ორგანიზაციამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცხინვალის რაიონის № 393 ცხინვალის სასოფლო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დაასახელა მეურნეობის მოწინავე ტრაქტორისტი ი. ხ. ჩიბროვი.

გაიმართა „ინამშენის“ ტრესტის № 3 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო კრება. რომელიც მიეძღვნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიაში კანდიდატის დასახელებას. კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს თავიანთ წარმომადგენლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის № 37 ჯანიშიას საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიაში დაასახელონ მოწინავე მუშა დ. ს. ობოლაძე.

ლენინის რაიონის გომარეთის მერძეველობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებაზე გადაწყდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დმანისის რაიონის № 127 გომარეთის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიაში დაასახელონ მეძინდვრეობის ბრიგადის ხელმძღვანელი რ. გ. ბიზანაშვილი. ამავე საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დმანისის რაიონის კიროვოსის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციისაგან დაასახელეს საბჭოთა მეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ა. ი. ახმედოვი.

გაიმართა ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ახალი ხულგუმოს კოლმეურნეობა „ილიჩის გზის“ წევრთა საერთო კრება. რომელზეც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ბოგდანოვკის რაიონის № 126 განძანის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიაში დაასახელეს კოლმეურნეობის სასაქონლო მერძეველობის ფერმის გამგე ვ. ვ. გიგილოვი.

თბილისში სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების კომკავშირელებ მ ა თავიანთ წარმომადგენლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 20 დიდუბის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიაში დაასახელეს მოწინავე მუშა ვ. ი. ზაბინი.

თბილისში 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი უმაღლესი საარტილერიო მეთაურთა სასწავლებლის კათედრების პირველადი პარტიული ორგანიზაციის კომუნისტთა საერთო კრებამ გადაწყვიტა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ბოგდანოვკის რაიონის № 124 ბოგდანოვკის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიაში რეკომენდაცია მისცეს თბილისის დირექტორს გ. ს. ჯაგაცპანიანს.

თეთრი წყაროს მეხორცეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის წინწყაროს განყოფილების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ გადაწყვიტა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თეთრი წყაროს რაიონის № 137 ასურეთის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიაში თავის წარმომადგენლად გაგზავნოს საბჭოთა მეურნეობის მოწინავე ტრაქტორისტი ს. ა. პავლეკანოვი.

ამავე საარჩევნო კომისიაში თეთრი წყაროს მეხორცეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის ფურნეკის განყოფილების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დასახელა საბჭოთა მეურნეობის მოაანგარიშე რ. ს. დავრიშიანი.

(საქინფორმი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

იმის გამო, რომ წლეულს მაისის პირველ ნახევარზე შვიდი უქმე დღე მოდის, აქედან 1, 2 და 9 მაისი სადღესასწაულოა, ხოლო 3, 4, 10 და 11 მაისი — დასვენების დღეები, სამუშაო დროის უფრო ეფექტიანი გამოყენებისა და სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის წარმატებით შესრულების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა 1975 წლის 4 და 11 მაისი სამუშაო დღეებად ჩათვალოს.

მუშა-მოსამსახურეთა მიერ გამოუყენებელი დასვენების დღეები — 4 და 11 მაისი — მიემატოს მათს ყოველწლიურ შვებულებას და იმავე წესით ანაზღაურდეს, როგორც შვებულების დღეები.

ფრმნის მართვის ცენტრში

1975 წლის 5 აპრილს მატარებელი რაკეტის მეშვეობით გაუშვეს პილოტირებული კოსმოსური ხომალდი „სოიუზი“, რათა განაგრძოს ექსპერიმენტები სადგურ „სალუტ-4“-თან ერთად. ხომალდზე იყო ეკიპაჟი — საბჭოთა კავშირის გმირები სსრ კავშირის კოსმონავტი-მფრინავი პოლკოვნიკი ვასილ გრიგორის-ძე ლაზარევი და სსრ კავშირის კოსმონავტი-მფრინავი ოლეგ გრიგოლის-ძე მაკაროვი.

მესამე საფეხურის მუშაობის მონაკვეთზე მატარებელი რაკეტის მოძრაობის პარამეტრებმა გადაუხვიეს გაანგარიშებულ მნიშვნელობას და ავტომატურმა მოწყობილობამ ბასცა კომანდა შეწყვეტილიყო პროგრამით გათვალისწინებული შემდგომი ფრენა და კოსმოსური ხომალდით გამოყოფილიყო დედამიწაზე დასაბრუნებლად.

დასაშვები აპარატი რბილად დაჯდა ქალაქ ბორნო-ალტაისკის სამხრეთ-დასავლეთით.

საძიებო-მაშველმა სამსახურმა უზრუნველყო კოსმონავტების კოსმოდრომზე მიყვანა. ამხანაგები ვ. ვ. ლაზარევკო და ო. გ. მაკაროვი თავს კარგად გრძნობენ.

(საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1975 წლის 6 აპრილს მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 62 წლისა გარდაცვალა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრი, რესპუბლიკის ელმავალმშენებლობის ერთ-ერთი ორგანიზატორი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის უფროსი

აპოლონ ალექსანდრეს-ძე მასხარაშვილი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

შეჯიბრების წინა ხაზზე

სანგრევშია ე. სვანიძის ბრიგადა

მეშახტეთა მოწინავე კოლექტივების შრომითი გამოცდილება საყოველთაო საკუთრება უნდა გახდეს

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ითქვა: დახახული ამოცანების განსახორციელებლად საჭიროა ავამოქმედოთ ყველა არსებული შესაძლებლობა, ყველა რეზერვი, ყველა რესურსი. ეს რეზერვები უნდა ვეძებოთ წარმოების ყველა უბანზე, ამასთან ვეძებოთ შეუპოვრად და ბეჯითად.

ყაიბულელი მეშახტეები პარტიულ სამეურნეო აქტივის კრების შთაბეჭდილებით ცხოვრობენ. ისინი დაკვირვებით, მთელი მონდომებით ეცნობიან, ორმად, საფუძვლიანად სწავლობენ კრებაზე მიღებულ რეკომენდაციებს, ეძებენ ახალ სიღრმისეულ რეზერვებს.

ხუთწლედის დამთავრებამდე ცხრა თვეა დარჩა. თუ ნაყოფიერად იმუშავებს ამ ხნის მანძილზე თვითეული ჩვენთაგანი, უფრო ნაყოფიერი იქნება რესპუბლიკის ხუთწლედიც. ეს ჭეშმარიტება კარგად აქვს შეგნებული ორკონიკიძის სახელობის შახტის მოწინავე კოლექტივს, რომელსაც სათავეში უდგას ნოვატორი მეშახტე, საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილე, სამთო ინჟინერი ი. ორკონიკიძე.

შარშანდელი წელიწადი ორკონიკიძელებმა მაღალი შრომითი მზაკვნებლებით დაამთავრეს. რესპუბლიკას მრეწველობამ გეგმის გადამეტებით მიიღო 45 ეშელონი ენერგეტიკული ქვანახშირი. შარშან მიღწეულ დონესთან შედარებით აქ წელს სათბობის მოპოვება 9 პროცენტით გაიზრდება ის იმას ნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობა დამატებით მიიღებს 26 ათას ტონაზე მეტ სათბობს, ანუ 367 ათასი მანეთის ღირებულების პროდუქციას.

ამ მაღალი ზღუდის აღებაში გადამწყვეტი სიტყვა მიწისქვეშა საწმენდ სანგრევებში მომუშავე ბრიგადებს ეკუთვნით. ახლა ამოცანა ის არის, რომ დონეზე კელ მეშახტეთა მაგალითისამებრ ფართოდ გავრცელდეს მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება. მოქმედი ლავის ეფექტიანობის და თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის.

დონეცკელთა პატრიოტულ ინიციატივას, ფართოდ გამოეხმაურნენ საქართველოს ქვანახშირის კომბინატის მეშახტეთა მოწინავე ბრიგადები. მათ შორის ორკონიკიძის სახელობის შახტის ბრიგადები, რომლებსაც სათავეში უდგანან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. სვანიძე, ნოვატორი მეშახტეები გ. ღრუბელაშვილი და ა. კუბლაშვილი.

გაბაფხულის ამ დღეებში მიწისქვეშა ჰორიზონტებიდან სასიამოვნო ცნობები მოდის. ე. სვანიძის ექვსკაციანმა ბრიგადამ წარმატებით დაძლია. ლავის გეოლოგიური აშლილობით გამოწვეული უდიდესი სიძნელეები და ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ანგარიშში ქვანახშირის პირველი ზეგეგმით ტონები გამოიღო. მაგალითად, ინვარეთებერვალში ბრიგადის თვითეულ წევრს ცვლაში ნორმის ზევით 12 ტონა ქვანახშირი უნდა მოეწვრა. ნაკისრი ვალდებულებით კი — 14 ტონა. დამკვრელური შრომით მოპოვებულმა შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ბრიგადის თვითეულმა წევრმა ცვლაში საშუალოდ ამოიღო 22 ტონა ქვანახშირი, ე. ი. ნორმის ზევით 10 ტონა სათბობი და დღიური დავალება 179 პროცენტით შეასრულა. უკვე ექვსი ეშელონი სათბობი გაიგზავნა ხუთწლედის ანგარიშში, — ასეთია ამ მოწინავე ბრიგადის მუშაობის შედეგი ახალი სამეურნეო წლის პირველ ორ თვეში.

ე. სვანიძის კომუნისტური შრომის ბრიგადას მხარს უმშვენებენ გ. ღრუბლაშვილის და ა. კუბლაშვილის ბრიგადები, რომელთა თვითეული წევრი ცვლაში ნორმის ზევით ასევე 8-10 ტონა სათბობს ანარეკენ. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების ანგარიშში ამ ბრიგადებმა მარტო თებერვალში 2.000 ტონაზე მეტი ქვანახშირი მოანგრიეს.

— აქტივის კრებიდან რომ დაებრუნდი, — გვითხრა ნოვატორმა ბრიგადირმა ე. სვანიძემ, — პირდაპირ შახტში მოვედი და ჩემს თანამოაზრეებს შევხვდი. მე მათ გავაცანი რესპუბლიკის მშრომელთა სიტყვა ამოცანები, სიტყვა ჩამოვაგდე ჩვენს შახტში არსებულ გამოუყენებელ რეზერვებზე. ყველას ფორო მეტი წარმატებების მოპოვების სურვილი აღგვეძრა. დავსახეთ ახალი, უფრო მაღალი ზღუდეები. მაგრამ ბევრი რამ გვაფიქრებს, ხელს გვიშლის, სამწუხაროა ის არის, რომ მათი დაძლევა მარტო ჩვენზე როდია დამოკიდებული.

ნოვატორი პირველ ხელისშემშლელ მიზეზად ასახელებს უხარისხო მომნგრავ ჩაქუჩებს. რომლითაც საექსპლოატაციო უბნები მარაგდებიან. მომნგრავი ჩაქუჩი მნგრეველის განუყოფელი თანამეზობარი. მის ნორმალურ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული მნგრეველის ნაყოფიერი შრომა. ეს კარგად იციან ტექნიკური მომარაგების მუშაკებმა, მაგრამ არ იღებენ ზომებს გამძლე და მაღალფექტური ჩაქუჩების შემოსატანად. არც ამ იარაღის სათადარიგო ნაწილები აქვთ, რომ ჩაქუჩი დროულად შეაკეთონ. შახტის გამყვანები კარგად მარაგდებიან კუმშური ჰაერით მოშუშავე პნევმორატორებით, მაგრამ ამ ბოლო ხანს მათ არ შოულობენ ე. წ. ჰიდროდამჭერი ფაზები ეიმისოდენი მძიმე. ორმოცკილოგრამიანი პერფორატორის გამოყენება ერთობ ძნელია. მუშაობის პროცესში იგი ოლის გამყვანს. ამცირებს მის შრომის ნაყოფიერებას.

ჩემს თანამოსაუბრეს დიდად აღელვებს შახტის ლითონური სამაგრით ცუდი მომარაგების საკითხი, რაც აფერხებს ახალი მეცხრე სამთო ველის მომზადებას. აქ ახლო მომავალში მესამე უბნის მთელმა საექსპლოატაციო სამუშაოებმა უნდა გადაანაცვლოს. მარტის პირველ დეკადებში ლითონის სამაგრის უქონლობის გამო მოცდენ გამოვიანები, შეფერხდა ახალი სამუშაო ფრონტის მომზადება. ამაში ბრალი მიუძღვის ქვანახშირის კომბინატის ტექნიკური მომარაგების გაწყოფილებას (უფროსი დ. ხავთასი), რომელმაც დროულად არ მიიღო ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

სანგრევის ეფექტურობის ამაღლების კიდევ ერთ-ერთი დიდი რეზერვია მაღალმწარმოებლური სამთო მანქანებისა და მექანიზმების დანერგვა. ამ მხრივ შახტში საქმე კარგად ვერ დგას. ბოლო წლებში აქ რაიმე თვალსაჩინო ტექნიკური სიახლე არ დანერგილა. ახლახან გადაწყდა მეოთხე საექსპლოატაციო უბანში ქვანახშირის მომნგრავი კომბაინის შეტანა და მისი ამუშავება. ორი თვის წინათ შახტმა მიიღო კიდევ ახალი კომბაინი, რომლის ღირებულება 18 ათას მანეთს შეადგენს, მაგრამ იგი უმოქმედოდ დგას და მძიმე ტვირთად აწვება წარმოებას. სამწუხაროა, რომ ეს არის, რომ კომბაინის კომპლექსში არ აღმოჩნდა კონვეიერი, ურეოლოსოფაკი. რა თქმა უნდა, აღნიშნული მანქანა სრულიად გამოუსადეგარია.

ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია სტანდარტული ხის სამაგრი მასალით სანგრევების მომზარაგება. დაკვეთის თანახმად შახტი 2,5-3 მეტრი სიგრძის ხის ბიგებს უნდა იღებდეს. სინამდვილეში ორჯერ და უფრო მეტი სიგრძის მრგვალ ხეებს უგზავნიან, ისიც არა სტანდარტულ, არამედ დიდი დაკარჩენისას. ამ მიზეზით შახტის საწყობში გადიდდა ხის მასალის ზენორმატული ნაშთი. რაც მძიმე ტვირთად აწვება წარმოებას შახტის ნორმალურ მუშაობაზე, მუშახელის დამაგრებაზე დიდ გავლენას ახდენს ეკონომიური მუშათა საცხოვრებელი ინტერნატის გაჭიანურებული რეკონსტრუქცია.

ეი ასეთი საჭირბოროტო საკითხები აღელვებს ჩემს თანამოსაუბრეს, ყველა მეშახტეს ხუთწლედის დამთავრებამდელი წლის სტარტზე, რომელიც მათ ცუდად როდი დაიწყეს, მაგრამ თუ ჩამოთვლილი ნაკლოვანებანი დროულად არ აღმოიფხვრა, ყველა რეზერვი არ ამოქმედდა, მოსალოდნელია კარგ დასაწყისს ცუდი ფინალი მოჰყვეს.

მაგრამ, იმედია, ეს ასე არ მოხდება. ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებს ყოველთვის აქვთ ნაკლოვანებების გამოსწორების, დაბრკოლებების დაძლევის დიდი უნარი

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.



პირველგამყვანთა დაბა

ირკუტსკის ოლქი. ბაიკალ-ამურის მაგისტრალის დასავლეთ უბანზე უსტ-კუტიდან ნიუნენგარსკამდე გაჩაღებულია სამშენებლო სამუშაოები. სულ უფრო შორს შედის ტაიგაში განაკაფი ზოლი, წარმოებს რკინიგზის ტრასის მიწის ვაკისის დაგება აწყობენ რელსებს, შენდება ხიდი ლენაზე, კარვის ქალაქებს ნაცვლად იზრდება საცხოვრებელი სახლები, მაღაზიები, სასადილოები, სკოლები.

ყოველდღე ავტომანქანების კოლონები მიდიან ტვირთებით ბამის პირველგამყვანთა დაბაში — მაგისტრალზე. ვერტმფრინავებს ტვირთები მიაქვთ ტრასის ძნელად მისადგომ უბნებში.

სურათებზე: ტრასაზე; ქვემოთ — დაბა მაგისტრალნი.
მ. ბრიუხანენკოს ფოტო (საკავშირო ფოტოქრონიკა).



„საქართველოს აგიტატორი“ № 7

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ **„საქართველოს აგიტატორის“** მორიგი, მეშვიდე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია სტატიები და წერილები: რას ნიშნავს ჩვენი ამოცანების იდეოლოგიურად უზრუნველყოფა, როგორ მივაღწიოთ მას?; ვ. ი. ლენინი პოლიტიკური აგიტაციისა და აგიტატორების შესახებ; 200 მილიონი მანეთი; **ნ. მელაძე** — საბრძოლო ტრადიციების კვალდაკვალ; **გ. მაჩაიძე** — 900 ცეცხლოვანი ღღე; **ტ. მელქაძე** — მშრომელთა რევოლუციური დღესასწაული; **ვ. ვალეიკო** — ადამიანებო, იყავით ფხიზლად; **ვ. ბატაშვილი** — საგიტაციო კადრებს — პარტიული ზრუნვა; **თ. შაშიაშვილი** — მიზანი: კომკავშირელთა იდეური წრთობა, დამკვრელური შრომაში ჩაბმა; სოციალური გეგმა წარმოებაში; **ე. ნიფარიძე** — დასავლეთ ევროპა; **ლ. დარბაიძე** — ქართული თეატრის ბერმუხა; **ე. ლებანიძე** — დაფისებული ამაგი; **ფ. პოფმანი** — ვალდებულება.

ბამ-ს — საქართველოს ახალგაზრდობა

დღეს ყველამ იცის ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობის ამბავი. ამ გაუთავარ ტაიგას სიცოცხლე ჩაუდგეს ადამიანებმა. აქ არიან ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდები, ვინც არ უშინდება ყინვასა და სიცივეს და თავისი წვლილი შეაქვს ამ საშვილიშვილო საქმეში.

„კომუნისტის“ რედაქცია სისტემატურად იღებს ახალგაზრდების წერილებს რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან. მათ ბევრი რამ აინტერესებთ ამ მშენებლობაზე.

იმ ღონისძიებათა შესახებ. რასაც ახორციელებს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებით ამაზე. რა წვლილი შეაქვთ საქართველოს ახალგაზრდებს ამ დიდ საქმეში, ვთხოვეთ „კომუნისტის“ მკითხველებისათვის მოეთხრო საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს ო. მენაბდეს.

ახალგაზრდობის მარჯვენით

ჩვენ ქვეყნის გრანდიოზული მშენებლობები, — აღნიშნა მან, — დასახული პარტიისა და მთავრობის მიერ, ასახავს ჩვენი ცხოვრების ტემპებს, მის გაქანებას, საბჭოთა ხალხის ყოველდღიურ ვმირობას. მათკენ არის მიპყრობილი მშრომელი ადამიანების სულ უფრო და უფრო მეტი ყურადღება. ახალგაზრდები — ჩვენი სამშობლოს სხეულასნელი კუთხის შვილები ორგანიზებულად და მეგობრულად შეაქვირებულნი, აშენებენ ქალაქებს, რკინიგზის მაგისტრალებს, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო კომპლექსებს.

1974 წლის 15 ნოემბერს გამართულმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმმა კომკავშირელებსა და ახალგაზრდებს, რესპუბლიკის ყველა ახალგაზრდა მშრომელს მოუწოდა ღირსეული წვლილი შეიტანონ დამკვრელური მშენებლობათა გეგმების წარმატებით შესრულებაში. პლენუმმა დასახა საკავშირო და რესპუბლიკური დამკვრელური კომკავშირული მშენებლობებისადმი შეფობის ღონისძიებათა გეგმა.

ქართველი ახალგაზრდობა ღირსეულად ატარებს თამბათა ესტაფეტას, ისინი ადრძელებენ რესპუბლიკის კომკავშირული ცხოვრების სასახელო ტრადიციებს. ახალგაზრდობა დიდი ენთუზიაზმით შრომობს საკავშირო დამკვრელური მშენებლობებზე.

ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებს შეიძლება შეხვდეთ ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის, კამის საავტომობილო ქარხნის, უსტ-ილიმსკის ხე-ტყის საწარმოო კომბინატის, ქარხანა „როსტსელმაშის“, ნიჟნე-კამსკის ნავთობქიმიური კომბინატისა და სხვა დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობებზე.

მარტი 1974 წელს საკავშირო მშენებლობებზე რესპუბლიკიდან 392 ახალგაზრდა გაგზავნა, ხოლო რესპუბლიკის სხვადასხვა ობიექტებზე — 3.670-ზე მეტი ქალაქელი და ჭაბუკი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი მრავალ ღონისძიებას ატარებს ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის გრანდიოზულ მშენებლობაში რესპუბლიკის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ამ დიდი [illegible] სათანადოდ დაკომპლექტებულ ბრიგადებით ბაიკალ-ამურის რესპუბლიკის ყველა საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტში შექმნილია სპეციალური შტაბები.

ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობაზე კომკავშირელებისა და ახალგაზრდების შერჩევასა და გაგზავნასთან, ასევე შეკვეთების განაწილებასა და ო�ოულ შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში შექმნილია ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის დამკვრელური კომკავშირული მშენებლობებზე.

მარტი 1974 წელს საკავშირო [illegible] ბაზაზე გაგზავნის სამას კომკავშირელსა და ახალგაზრდას, მათ რიცხვში წარმოების მოწინავეები [illegible] მოალკეალიფიციური [illegible] ახალგაზრდობის ამ დიდი [illegible] სათანადოდ დაკომპლექტებულ ბრიგადებით ბაიკალ-ამურის რესპუბლიკის კომკავშირის ყველა საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტში შექმნილია სპეციალური შტაბები.

ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობაზე კომკავშირელებისა და ახალგაზრდების შერჩევასა და გაგზავნასთან, ასევე შეკვეთების განაწილებასა და ოросულ შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში შექმნილია ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის დამკვრელური კომკავშირული მშენებლობებზე.

1974 წელს ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობაზე კომკავშირელებისა და ახალგაზრდების შერჩევასა და გაგზავნასთან, ასევე შეკვეთების განაწილებასა და ოросულ შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში შექმნილია ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის დამკვრელური კომკავშირული მშენებლობებზე.

[illegible] ბაიკალ-ამურის [illegible] ალკკ ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმმა [illegible] ბაიკალ-ამურის [illegible] ალკკ ცენტრალური [illegible] ბაიკალ-ამურის [illegible] ალკკ ცენტრალურ

მსოფლიო დღის

მდგომარეობა ინდოჩინეთში

● თხიეუს რეჟიმი პანიკამ მოიცვა
● ბრძოლები პნომპენის გარშემო

ჯაკარტა, 7 აპრილი. (საკუთარი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ხარისხობამ გამოაქვეყნა კომუნიკე სამხრეთ ვიეტნამის ხალხის მიერ მოპოვებულ გამარჯვებათა შესახებ.

მარტის დამდეგიდან სახალხო შეიარაღებულმა ძალებმა მოსპეს და გაფანტეს მოწინააღმდეგის დიდი სამხედრო ძალები სამხრეთ ვიეტნამის 1-ლი და მე-2 სამხედრო ოლქების მთელ ტერიტორიაზე, მწყობრიდან გამოიყვანეს 270 ათასი საიგონელი ჯარისკაცი და ოფიცერი, არსებობა შეწყვიტეს მარიონეტული არმიის 6 რეგულარულმა დივიზიამ, სპარაშუტო-სადესანტო ბრიგადამ და ბევრმა სხვა ნაწილმა და ქვეგანაყოფმა.

მთლიანად განთავისუფლებულია ხუთი დიდი ქალაქი და 16 პროვინცია.

თხიეუს არმიის მთელმა ქვეგანაყოფებმა, საიგონის ჯარების ათი ათასობით ჯარისკაცმა, ათასობით ოფიცერმა უარი თქვეს ბრძოლაზე, აჯანყდნენ და იარაღით გადავიდნენ ხალხის მხარეზე.

ჯაკარტა, 7 აპრილი. (საკუთარი). სამხრეთ ვიეტნამის ხალხის შეიარაღებულ ძალებმა მოსპეს ბაო-ლოკის მეოთხე მოქმედებამ გადაანაცვლა მეკონგის დელტაში. დღეს სახალხო შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფებმა პარტიზანებთან ერთად არტილერიის, რაკეტებისა და ნაღმსატყორცნების ინტენსიური ცეცხლი დაუშინეს სამხედრო ობიექტებს ქალაქ ნხაბში, აგრეთვე იერიში მიიტანეს სამხედრო სატვირთო მანქანების კოლონაზე № 1 გზატკეცილზე.

თხიეუს რეჟიმი პანიკამ მოიცვა. საიგონის გარეუბნებში საწყრაფოდ აგებენ თავდაცვითს ნაგებობებს. თხიეუმ გასცა განკარგულება სამართალში მისცენ გენერლები და ოფიცრები, რომლებიც თავიანთ ჯარისკაცებთან ერთად გაიქცნენ.

ნიუ-იორკი, 7 აპრილი. (საკუთარი). სამხრეთ ვიეტნამის ნაპირებთან თავს უყრიან ამერიკის მე-7 ფლოტის ხომალდებს.

საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე გენერალი ჯ. ბრაუნი, რომელიც ჯაკარტაში იმყოფება, იმუქრებოდა „ამერიკის უშუალო სამხედრო ინტერვენციით ვიეტნამში“. ამავე დროს იგი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ბევრი გაიოლაშვრებს ისეთი ინტერვენციის წინააღმდეგ, რამდენადაც ვიეტნამში უკვე დაიღუპა 50 ათასზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცი და უზარმაზარი სახსრები დაიხარჯა ძარმომპალი თხიეუს რეჟიმის დასახმარებლად.

ბანგკოკი, 7 აპრილი. (საკუთარი). არეულობა და პანიკა სუფევს ალყაშემორტყმულ პნომპენში. გახშირდა დეზერტირობის შემთხვევები. პნომპენის ჯარების ბევრი ქვეგანაყოფი სრული შემადგენლობით ტოვებს პოზიციებს. პნომპენის სარდლობა იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ვერ ახერხებს ქვეყნისა და დედაქალაქის თავდაცვის სტაბილიზაციას.

ქალაქიდან გახიზნულია ამერიკის საელჩოს თითქმის მთელი პერსონალი. პნომპენი დატოვეს აგრეთვე იაპონიის ელჩმა და სამხედრო ატაშემ. დაიხურა უცხოეთის სახელმწიფოთა მისიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლობების უმრავლესობა.

კამბოჯის განთავისუფლების ძალების ნაწილები, სულ უფრო მეტად უტევენ მოწინააღმდეგეს მთელ ფრონტზე. დედაქალაქის რაიონში გაგზავნილი ქვეგანაყოფები, რომლებიც მონაწილეობდნენ პრეკნეაკლუონგის შტურმში, კვლავ წარმატებებს აღწევენ პნომპენის სამხრეთ მისადგომებთან. შეუთავარი ბრძოლები მიმდინარეობს ამჟამად სამ კილომეტრზე სამხრეთ გარეუბნებიდან.

გამარჯვების მტკიცე რწმენით

სირიის პრეზიდენტის ჰ. ასადის გამოსვლა

დამასკო, 7 აპრილი. (საკუთარი). გამოვიდა რა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის მე-6 რეგიონალური კონფერენციის გახსნაზე, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალურმა მდივანმა, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰაფეზ ასადმა აღნიშნა, რომ ამ კონფერენციას აქვს მთელი რიგი განმასხვავებელი თავისებურებანი წინანდელთან შედარებით. ამ თავისებურებებს, განაცხადა მან, ეკუთვნის ის, რომ კონფერენცია მიმდინარეობს ისეთ პირობებში, როცა არაბმა ერმა გამარჯვება მოიპოვა 1973 წლის ოქტომბრის ომში ისრაელის წინააღმდეგ და როცა მისი მტრები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა გაიქარწყლონ ეს ისტორიული მოღწევა.

კონფერენცია, აღნიშნა ჰ. ასადმა, მოწვეულია იმ პერიოდის შემდეგ, რომელიც აღსავსე იყო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენებით.

ააფეთქეს ატომური რეაქტორი

ნიუ-იორკი, 7 აპრილი. (საკუთარი). როგორც ამერიკის იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საინფორმაციო სააგენტო პენტაგონის წყაროების დამოწმებით იუწყება, ამერიკელ სპეციალისტთა ჯგუფმა ააფეთქა 250 კილოვატი სიმძლავრის ატომური რეაქტორი, რომელიც 1963 წელს აიგო სამხრეთ ვიეტნამის დალატის რაიონში (220 კილომეტრზე საიგონის ჩრდილოაღმოსავლეთით). აქციის მიზანი იყო არ დაეშვათ, რომ რეაქტორი განთავისუფლების ძალებს ჰავარდნოდათ ხელში. ატომური ნედლეული, რომელსაც რეაქტორის მუშაობისათვის იყენებენ, იუწყება სააგენტო, წინასწარ გაზიდეს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ეთიოპია გარდაქმნების გზით

ადის-აბება, 7 აპრილი. (საკუთარი). ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული კომიტეტი აპირებს განახორციელოს მის მიერ გამოცხადებული სოციალურ-ეკონომიური და დემოკრატიული გარდაქმნების პროგრამა, სანამ არმია ძალაუფლებას გადასცემდეს ხალხის მიერ არჩეულ სამოქალაქო მთავრობას. ეს აქ განაცხადა ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარემ, ბრიგადის გენერალმა ტეფერი ბანტიმ ფაშისტური იტალიის ჯარებზე გამარჯვების 34 წლისთავის გამო გამართულ საზეიმო ცერემონიაზე.

ტ. ბანტიმ კმაყოფილება გამოთქვა ამ პროგრამის შესრულების მიმდინარეობის გამო.

დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარემ მოსახლეობას მოუწოდა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის გარდაქმნაში.

დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული კომიტეტის საგარეო პოლიტიკას, განაცხადა ტ. ბანტიმ, კვლავინდებურად საფუძველად უდევს სუვერენიტეტის პატივისცემა და სხვა ქვეყნების სამინაო საქმეებში ჩაურევლობა, აფრიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა ყოველმხრივი ღონისძიებით მხარდაჭერა.

ბრალდების მოწმენი

ტოკიო, 7 აპრილი. (საკუთარი). „უმამოტოს პროფექტურის მცხოვრებთა ჯგუფმა ქიმიური კომპანიის „ტისოს“ ადმინისტრაციას ბრალი დასდო, რომ იგი წინასწარი განზრახვით ზიანს აყენებს ადგილობრივ მოსახლეობას გარემოს გაჭუჭყიანების გზით. მათ პოლიციას განუცხადეს, რომ ფირმამ ჯერ კიდევ 1959 წელს წყლის სინჯი აიღო მინამატის უყურეში და მოახდინა ცდები ცხოველებზე, რის შედეგად გამოირკვა, რომ ეს წყალი შეიცავს ადამიანის ჯანმრთელობისათვის დამღუპველ შენაერთებს. მიუხედავად ამისა, „ტისოს“ ქარხანა განაგრძობდა წარმოების შხამიანი ხარჩენების ჩაყრას აუურეში, წამლავდა თევზს, რომლითაც ადგილობრივი მცხოვრებლები იკვებებიან. „მინამატის დაავადებით“ დასნეულებულებმა (ეს დაავადება გამოიხატება კიდურების დამბლით, მეტყველების უნარის დაკარგვით ვერცხლის ჟანგის შეხეორებით მოწამვლის შედეგად) მოითხოვეს დაუყოვნებლივ დაესაჯათ ისინი, ვისაც ბრალი მიუძღვოდა მათ ტრაგედიაში.

გარემოს გაჭუჭყიანება ეროვნულ პრობლემად გადაიქცა იაპონიაში.

ტელეტაიპის ლენტიდან...

ბეირუთი. მიმდინარე წლის აპრილის დამდეგს, როგორც გაზეთი „ან-ნიდა“ იუწყება, გაიმართა არაბული ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირი.

თათბირის მონაწილეებმა განიხილეს არაბთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარების საკითხები და მდგომარეობა მსოფლიოს კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში.

რაბატი. მაროკოს უდიდეს სავაჭრო-სამრეწველო ცენტრში კასაბლანკაში გაიმართა მასობრივი მიტინგი ქალის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ხაზგასმულია, რომ საჭიროა ქალს მიეცეს მამაკაცის თანაბარი უფლებები, გააქტიურდეს მისი როლი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

კარაკასი. მიმდინარე წელს, რომელიც გამოცხადებულია ქალის საერთაშორისო წლად, ყველა კეთილი ნების ადამიანის მოვალეობაა გააძლიეროს ბრძოლა დიქტატორ სტრესნერის დილეგებში დამწყვდეული პარაგვაელი პატრიოტი ქალების გადარჩენისა და განთავისუფლებისათვის. ეს ნათქვამია პარაგვაელი პოლიტიკური პატიმრებისადმი სოლიდარობის ვენესუელის კომიტეტის განცხადებაში. დოკუმენტში, რომელიც გაზეთ „ტრიბუნა პოპულარში“ გამოქვეყნდა, აღნიშნულია, თუ რა არაადამიანურ პირობებში არიან პარაგვაელი ტუსაღები საპატიმროებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში, მოყვანილია მოწმეთა ნაამბობი.

ლა-პაზი. ათასზე მეტი უპატრონო ბავშვი აღრიცხეს ქალაქ კოჩაბამბაში ბოლივიის არასრულწლოვანების საქმეთა ეროვნული საბჭოს მუშაკების. ხილადაკე, შიმშილობა აიძულებს ბევრ მშობელს მიატოვოს ბავშვები.

როგორც ადგილობრივი გაზეთები წერენ, უპატრონოთა პრობლემა, რომლებიც მაწანწალათა და დამნაშავეთა არმიას ემატებიან, ქალაქს ყველაზე მწვავე სოციალური პრობლემად გადაიქცა.

□

გარდაიცვალა ჩან კაი-ში

ნიუ-იორკი, 7 აპრილი. (საკუთარი). აქ ცნობილი გახდა, რომ ტაიბეიში (ტაივანი) 87 წლის ასაკში გარდაიცვალა ჩან კაი-ში.

თავისუფალი, დემოკრატიული პორტუგალიისათვის.

პორტუგალიის პოლიტიკური პროგრამა

ლისაბონი, (საკუთარი). პორტუგალიის კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა თავისი პოლიტიკური პროგრამა დამფუძნებელი კრების არჩევნებთან დაკავშირებით, რომელიც 25 აპრილს გაიმართება.

7 აპრილი

პორტუგალიის კომპარტია, ნათქვამია პროგრამაში, მოითხოვს მონოპოლიათა ძლიერების ლიკვიდაციას, ქვეყნის საერთო ეკონომიური განვითარების უზრუნველყოფას, მშრომელებისა და მთელი ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას, განათლების სისტემის დემოკრატიზაციას, აგრარული რეფორმის განხორციელებას, მიწის გადაცემას იმათთვის, ვინც მას ამუშავებს.

კომუნისტები თანამიმდევრულად უკერენ მხარს დეკოლონიზაციას და „იმ ხალხთა სრულ განთავისუფლებას, რომლებიც პორტუგალიის კოლონიალიზმის მონობაში იყვნენ“, ხაზგასმით აღნიშნავს პორტუგალიის კომპარტია. მხოლოდ მაშინ, როცა აღარ დაჩაგრავს სხვა ხალხებს, თვითონ პორტუგალიაც, ბოლოს და ბოლოს, ნამდვილად თავისუფალი გახდება.

დამფუძნებელი კრების არჩევნები, ნათქვამია პორტუგალიის კომპარტიის საპროგრამო დოკუმენტში, პორტუგალიის რევოლუციის განვითარების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იქნება.

პორტუგალიის კომპარტია პაბივს სცემს ხალხის ნეია-სურვილს და გაილაშქრებს ამ ნებასურვილის დამახინჯების ყველა ცდის წინააღმდეგ. ხელი უდგა ძველებლოთ ოეიტიციის ძალებს, რომ დემოკრატიული თავისუფლებანი გამოიყენონ ამ თავისუფლებათა ლიკვიდაციისა და ახალი დიქტატურის დამყარებისათვის, აღნიშნულია პროგრამაში.

დემოკრატიული რეჟიმის დამყარება, ნათქვამია პორტუგალიის კომპარტიის დოკუმენტში, სახავს რევოლუციური პროცესის მშვიდობიანი განვითარების, დემოკრატიული კახიხეიერების ფარგლებში და პორტუგალიელი ხალხის ნება-სურვილის შესაბამისად ღრმა სოციალური რეფორმების განხორციელების დიდ შესაძლებლობებს. ისტორიული გამოცდილება მოწმობს, რომ სოციალისტური წყობილება შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმისა, ჰქონდეს სხვადასხვა თავისებურება თვითეული ქვეყნის პირობების შესაბამისად.

პორტუგალიის კომპარტია მხარს უჭერს ყველა ხალხთან მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას, რომელიც პორტუგალიას გაათავისუფლებს გამაღლებული შეიარაღების ფინანსური ტვირთისაგან და ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტია იქნება, ხაზგასმულია პორტუგალიის კომპარტიის დოკუმენტში.

ამბები • ფაქტები

საკლესიო და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

ლისაბონი

პორტუგალიელი კომუნისტები დამფუძნებელი კრების არჩევნების წინ

კაიროს-ალჟირი

მოუწოდებენ ქვეყნის გარდაქმნაში აქტიური მონაწილეობისათვის

ფოტოინფორმაცია

ინგლისელი მშრომელები სულ უფრო აქტიურად ებრძვიან თავიანთი უფლებებისათვის ბრძოლაში. ამას წინათ ლონდონში გაიფიცნენ ვესტმინსტერის სასახლის და უაიტჰოლის სამთავრობო ნაგებობათა მომსახურე პერსონალი და ტექნიკური სამსახურის მუშები. ისინი მოითხოვენ ხელფასის მოპატებას.

სურათზე: გაფიცულთა პიკეტი პარლამენტის შენობასთან.

საკლესიო ფოტო.

ადასტურებს პრესა

ფართმეული გავშვოგა

— რამდენი წლისა ხარ?
— ცამეტის.
— რამდენი ხანია რაც მუშაობ?
— 11 წლიდან.
— სკოლაში არ დადიხარ?
— როცა სამუშაოდან გავთავისუფლდები.
— რაამე დახმარება თუ გეძლევა?
— არა, რისთვის?

ასე უპასუხა პატარა ნეაპოლელმა ბიჭუნამ ჟურნალისტის კითხვებზე. ასევე გიპასუხებდნენ ალბ თანატოლები მილანში, ფლორენციაში და იტალიის სხვა ქალაქებში. მათ ისეთივე ბავშვობა აქვთ, როგორიც სამხრეთ იტალიის ქალაქ მელფში მცხოვრებ თეთრმეტი წლის ბიჭუნას მარიო კალაბროს. ორწელიწადნახევარია, რაც მამამისი უმუშევარია და მარიო სკოლაში სიარულის ნაცვლად ყოველდღე, დილის 7 საათიდან საღამოს 9 საათამდე ბარში მუშაობს. მარიოს ოჯახი 7 სულისაგან შედგება, აქედან მხოლოდ მარიოა ფულის შემომტანი და ოჯახი ღიღვს ითქვამს სულს.

ოფიციალური მონაცემებით 600.000 იტალიელი ბავშვი 8-დან 14 წლამდე სამშენებლო უბნებზე მუშაობს დამხმარე მუშებად ან ხელზე მოსამსახურეებად, რაშიაც მცირეოდენ გასამრჯელოს იღებენ. სწავლა კი შეუძლებელი ხდება, რადგან სახელმძღვანელოების ფასი ყოველ წელიწადს მატულობს. მაგრამ მარტო ეს როდია იტალიელი ბავშვების მასობრივი უსწავლელობის მიზეზი სახალხო განათლების ორგანოები აქ ბევრს ლაპარაკობენ „1980 წლის პროექტის“ შესახებ, რომელიც მთავრობამ ახალგაზრდათაობის აღზრდისა და განათლების მიზნით შეიმუშავა. მაგრამ ამით მდგომარეობა არ შეცვლილა, გარდა იმისა, რომ ბავშვთა გასამრჯელოს ორიოდე გროში წაუმატეს. ამჟამად მთელ იტალიაში სკოლებს ათეულთასობით მოსწავლე აკლია. ამასთან თითქმის ყველა საკლასო ოთახში სულ ცოტა 50-60 მოსწავლე ზის, მაშინ როცა მასწავლებლების 40 პროცენტი სამსახურს ეძებს.

ეს გამოწვეულია იმით, რომ საგრძნობლად მცირეა სკოლების რაოდენობა. ომ სკოლების ორი მესამედი, რომელთა მშენებლობა ჯერ კიდევ 1967 წელს უნდა დამთავრებულიყო, დღემდე ქაღალდზე რჩება.

ასეთ ვითარებაში მშობლებს ისღა დარჩენიათ, რომ არასრულწლოვანი ბავშვი მონურ სამუშაოზე გაგზავნონ. მსხვილი მეწარმეები კი დიდი სიამოვნებით იღებენ ასეთ იაფ მუშახელს. არც ქალაქის ყვრილ ხაწარმოებში მომუშავე ბავშვები არიან უკეთეს დღეში. მათი მდგომარეობა აღმაშფოთებელია. ისინი თვეში მათხოვრულ გასამრჯელოს 60-დან, დიდი-დიდი 140 მარკამდე იღებენ, მოკლებული არიან ყოველგვარ პროფკავშირულ დახმარებას უბედური შემთხვევის ან ავადმყოფობისას. ბავშვების საწარმოო ტრავმები კი არცთუ იშვიათია. წელიწადში 1000-ზე მეტი მოზარდი ხდება უბედური შემთხვევის მსხვეპელი. აქედან ათი პროცენტი ძოელი თვისი სიცოცხლის განმავლობაში ხეიბარი რჩება. ამრიგად, ამ ქვეყანაში ბავშვების მამართ არავითარ შეზრალებას არ იჩენენ. იმის ნაცვლად, რომ სამსახურში მოზრდილები მიიღონ, მეწარმეები მოზარდ თაობის მიღებას ამჯობინებენ. იტალიაში უკვე 5 წელია, რაც საყოველთაო სავალდებულო სწავლება შემოიღეს და ამავე დროს ოფიციალურად არის ხებადართული ბავშვების მუშაობა, ამიტომ სამუშაოზე მიმღები მეწარმეები პასუხს არ აგებენ არასრულწლოვანთა დასაქმებისათვის.

(„იუნგე ველტ“).

ბულგარეთი

ბულგარელი ქალები სასოფლო-სამეურნეო წარმოების აქტიური ორგანიზატორები არიან და წარმატებითაც ხელმძღვანელობენ სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებს. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი რ. სერაფიმოვა პომორიეს მებაღეობა-მევენახეობის საცდელი სადგურის დირექტორად მუშაობს. მისი კოლექტივი, რომელსაც არაერთხელ უსახელებია თავი, ამჟამად სუპერინტენსიური კულტურების გამოყენებაზე მუშაობს.

სურათზე: ჰ. სერაფიმოვა და მეცნიერი თანამშრომელი ა. ბოინევი საცდელი სადგურის სათბურში.

„სოფია ფრესის“ საკუთარი ფოტო.

ამერიკელ მეცნიერთა თანამშრომლობა

ბულგარეთი

ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა სამშენებლო-საგზაო მანქანების წარმოების დარგში იმდენივე წლისაა, რამდენისაც სახალხო პოლონეთი. პირველ ომისშემდგომ წლებში საბჭოთა ექსპავატორებმა და ბულდოზერებმა დიდი როლი შეასრულეს ქვეყნის აღდგენაში. ამჟამად მანქანები მარკით „გაკეთებულია პოლონეთში“ მუშაობენ საბჭოთა კავშირის ყველა გეოგრაფიულ განედში, მათ შორის ისეთ წამყვან მშენებლობებზე, როგორიცაა კამის საავტომობილო ქარხანა და ბაიკალ-ამურის მაგისტრალი.

კოოპერირების შესახებ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შეთანხმების ფარგლებში სახალხო პოლონეთმა უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში სსრ კავშირს მიაწოდა დიდძალი მანქანები, მოწყობილობანი, რომლებიც საბჭოთა სპეციალისტებს აინტერესებთ.

ათენი: მოლაპარაკების მეოთხე ტური

ათენი, 7 აპრილი. (საკუთარი). დღეს აქ იწყება მეოთხე ტური საბერძნეთ-ამერიკის მოლაპარაკებისა იმ ორმხრივ შეთანხმებათა გადასინჯვის შესახებ, რომელთა საფუძველზე საბერძნეთში განლაგებულია ამერიკის სამხედრო ბაზები. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს სამხედრო ობიექტების მშიდრო ქსელითაა დაფარული საბერძნეთის ტერიტორია, ხოლო მათი პერსონალი ექსტერიტორიულობის უფლებით სარგებლობს.

ასეთ მდგომარეობას საშიში შედეგები შეიძლება მოჰყვეს და კანონიერ შეშფოთებას იწვევს ქვეყნის მოსახლეობაში. პარლამენტის ერთ-ერთ პირველ სხდომაზე გაცული წლის დეკემბერში პრემიერ-მინისტრმა კარამანლისმა განაცხადა, რომ უცხოეთის ყველა სამხედრო ბაზა, რომელიც არ შეესაბამება საბერძნეთის ეროვნულ ინტერესებს, ლიკვიდირებული იქნება, ხოლო დარჩენილი უცხოეთის სამხედრო ობიექტები დაექვემდებარებიან სახელმწიფოს კონტროლს.

საბერძნეთის მთავრობის განზრახვამ — გადასინჯოს ნატოსა და ამერიკის შეერთებული შტატებთან სამხედრო თანამშრომლობის სისტემა, შეშფოთება გამოიწვია ვაშინგტონსა და დასავლეთის ზოგიერთ სხვა დედაქალაქში.

საბერძნეთის პროგრესული საზოგადოებრიობა მოითხოვს ბოლო მოეღოს ნატოს წრეების ცდებს, რომ ხელი შეუშალონ საბერძნეთის მიერ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკური კურსის განხორციელებას, რომელიც შეესაბამება ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.

ქედუსრელობა

მარტყოფის გმირული ეპოპეის 350 წელი

მალე ქართველი ხალხი ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად ზეიმით აღნიშნავს დიდ სამამული ომში გამარჯვების 30-ე წლისთავს. ამ საზეიმო დღეებში გვმართებს გავიხსენოთ უფრო შორეული წარსული, ქართველი ხალხის მიერ გადახდილი სამამულო ომები, მართლაც იშვიათი შემართება უძლიერესი მტრების წინაშე.

ჟამთასვლის უწყვეტ ნაკადში, რომელიც ასეულობით საუკუნეებს მოიცავს, არის ცალკეული დღეები, როდესაც, მთელი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთერთი ასეთი დღე იყო 1625 წლის 4 აპრილი (ძველი სტილით 25 მარტი), როდესაც ქართველმა ხალხმა თავდადებული გამოსვლით ჩაშალა ყიზილბაშური ირანის უძლიერესი მბრძანებლის შაჰ-აბას პირველის ავბედითი განზრახვა დედამიწის პირიდან აღეგვა საქართველო, 350 წლის წინათ მარტყოფის ველზე გადაწყდა საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი. ქართველმა ხალხმა ეს უძნელესი გამოცდა ბრწყინვალედ ჩაბარა.

შაჰ-აბასის ბრძოლებში ხალართველოს საკითხს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. ირანის შაჰი უკიდურესად იყო დაინტერესებული საქართველოს ტერიტორიის მტაცეა დაპერით. ქართველი ხალხი კი დამპყრობელს ქედს არ უხრიდა და სრული განთავისუფლებისათვის იბრძოდა.

შაჰ-აბასი მარტო იარაღით და აშკარად როდი მოქმედებდა. მან კარგად იცოდა ქართლისა და კახეთის საშინაო ვითარება და ცდილობდა მათს შინაგან გათიშვას პოლიტიკური ინტრიგების ქსელის გაბმით. სათავადოთა სისტემა, რომელიც ამ დროის ქართლში განუყოფლად ბატონობდა, მისი პოლიტიკისათვის მეტად ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა.

შაჰის კარზე მრავლად იყვნენ საქართველოდან სხვადასხვა მიზეზით გადახვეწილი ქართველები, რომელთა გამოყენებითაც იგი აპირებდა საქართველოს საკითხის საბოლოო გადაწყვეტას. შაჰ-აბასი განსაკუთრებით დიდი კმაყოფილებით შეხვდა მასთან ქართლის „დიდი მოურავის“ გიორგი სააკაძისა და არაგვის ერისთავის მისვლას. როგორც ცნობილია, გიორგი სააკაძე, რომელიც აზნაურთა ზრდილან იყო გამოსული და თავისი ნიჭითა და უნარით შეძლო ქართლის მეფის კარზე დაწინაურება, თავადთა თვითნებობის წინააღმდეგ აიმაღლა ხმა და სცადა კიდეც მათი მოთოკვა, მაგრამ დამარცხდა და იძულებული გახდა ირანში გაიხიზნულიყო. იგი შეეცადა ქართლის თავადთა წინააღმდეგ შაჰ-აბასის ძალის გამოყენებას, მაგრამ ამაში შეცდა.

შაჰ-აბასმა ქართველ ხალხს უსასტიკესი განაჩენი გამოუტანა. მას აუცილებლად მიაჩნდა ქართველობის ამოგდება და თავისი ერთგული ყიზილბაშური ტომების ჩამოსახლება.

შაჰი მეთოდურ მოქმედებაზე გადავიდა. 1612 წელს დაიდო ზავი ირანსა და ოსმალეთს შორის. დამარცხებულმა ოსმალეთმა აღმოსავლეთ საქართველო ირანს დაუთმო. შაჰი თავისი სამხედრო ძალით საქართველოსკენ დაიძრა. მას მიზანში ამოეღო კახეთი. შაჰ-აბასისთვის ცნობილი იყო თეიმურაზის სწრაფვა რუსეთისაკენ და ისიც, რომ მან პოლიტიკური კავშირი შეკრა ქართლის ახალგაზრდა მეფე ლუარსაბ მეორესთან. შაჰს ჭყვედა თავისი აგენტები როგორც კახეთში, ისე ქართლში. მათი მეთაურები იგი თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ქართველ ფეოდალებთან სამტრო არაფერი ჰქონდა და ახლოდან ურჩი ყმების დასასჯელად მოდიოდა. მისმა დემაგოგიურმა პოლიტიკამ გასჭრა და ქართულ-კახეთის ფეოდალთა დიდმა ნაწილმა თავიანთ ძეფეებს მხარი არ დაუჭირა შაჰ-აბასის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თეიმურაზ პირველი და ლუარსაბ მეორე იმერეთში გადაიხვეწნენ. შაჰ-აბასმა კახეთის მნიშვნელოვანი ნაწილი სასტიკად მოარბია, შეურაცხყო ქართველთა წმინდა საღოცავები და 30.000 ტყვე გაირეკა საქართველოდან. ხოლო როცა კახეთი აჯანყდა და დაბარცხა მის მიერ გამოგზავნილი ჯარი (1615 წ.), შაჰი უკვე მთელი თავისი ძალით წამოვიდა კახეთის საბოლოოდ მოსათხრელად. თითქმის მთელი 1616 წლის განმავლობაში ყიზილბაში ჯარისკაცები თხრიდნენ და არბევდნენ, სწვავდნენ, აჩანაგებდნენ და ანგრევდნენ კახეთის სოფლებსა და ბაღვენახებს. განწირასული იყო მოსახლეობის პირწმინდად გაჟღეტა ან გადასახლება. მაგრამ ხალხი თავდატეხილ-წინააღმდეგობას უწევდა ველურ დამპყრობლებს. კახეთის მოსახლეობის ერთი მესამედი შეაკვდა მტერს უთანასწორო ბრძოლაში, 150.000-ზე მეტი მოსახლე აყარეს და ირანის შიდა პროვინციებში გადასახლეს.

ქართლსაც იგივე ბედს უმზადებდა შაჰი, მაგრამ იმჯერად ყურადღება სხვა მიმართულებით გადაიტანა და ქართლი შედარებით მშვიდობით გადარჩა. მალე ხელახლა ატყდა ირან-ოსმალეთის ომი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ოსმალეთში გადახვეწილი თეიმურაზ პირველი მრავალრიცხოვანი ამალით, თეიმურაზი ირანში შეჭრილ ოსმალთა ჯარის მოწინავეთა რიგებში იბრძოდა და შაჰს შიშის ზარს სცემდა. მაგრამ ოსმალეთმა ვერ გამოიყენა თავისი უპირატესობა და გამარჯვება ბოლომდე ვერ მიიყვანა.

თეიმურაზი რუსეთში გზავნის ელჩებს და დახმარებას ითხოვს. ვერც იქიდან მიიღო სასურველი პასუხი. თეიმურაზის მოქმედებით განრისხებული შაჰ-აბასი უდანაშაულო მძევლებს მიდგა. ჯერ იყო და სასტიკად აწამებინა თეიმურაზის მცირეწლოვანი შვილები — ლევანი და ალექსანდრე, ხოლო შემდეგ გახურებული შანთით დაადაღინა თეიმურაზის მოხუცი დედა, დედოფალი ქეთევანი. (როგორც ამ უკანასკნელ ხანს გამოირკვა ქართველი დედოფლის წამების სცენები გამოხატული ყოფილა შორეულ პორტუგალიაში ლისაბონის და გრასას ეოსსატრის კედლებზე).

პირსისხლიანი შაჰის ამ სისასტიკემაც ვერ გატეხა ქართველი ხალხი, იგი კიდევ უფრო მეტი თავდადებით დაირაზმა ახალი ბრძოლებისათვის. შაჰ-აბასს საქართველოდან შემაშფოთებელი ცნობები მისდიოდა. კახეთში ქართული მოსახლეობა ისევ მომრავალებულიყო და ქვეყანა მტრისათვის სამაგიეროს მისაზღაურად ლეკავდა ხმალს. ირაზმებოდა ქართლიც და მოიმეთა მხარდასაჭერად გამოსვლისთვის ემზადებოდა.

ირანის შაჰი იძულებული გახდა სასწრაფოდ შეეწყვიტა ოსმალეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედება და მთელი თავისი ყურადღება საქართველოსკენ გადმოეტანა. მან ბაღდადიდან მოახსნა თავისი რჩეული ჯარის ნაწილები და საქართველოში გამოსალაშქრებლად გაამზადა, ჯარის სათავეში თავისი სახელგანთქმული მთავარსარდალი ყარჩიხა-ხანი ჩააყენა, ხოლო მრჩევლად გიორგი სააკაძე დაუნიშნა.

შაჰ-აბასმა საქართველოს საკითხის საბოლოო გადაწყვეტა დაისახა მიზნად და უზარმაზარ არმიას, რომელიც 60.000 კაცს ითვლიდა, დართა მერეული თავადის ჩაბმის საქმეში. გიორგი სააკაძემ მტრის გაწყვეტის გამეფული გეგმა შეიმუშავა. ჯერ იყო და მან ყარჩიხა-ხანის ჯარის ნაწილი კახეთში გააგზავნა, ამით მარტყოფში მყოფი სამხედრო ძალა შეასუსტებინა, ხოლო დანიშნულ დღეს აჯანყებულთა და ყიზილბაშთა ბანაკში მყოფ ქართველთა ერთობლივი მოქმედებით მტრის ძალის განადგურება გადაწყდა.

1625 წლის ხარება დღე თენდებოდა (ეს ქრისტიანული დღესასწაული ძველი სტილით 25 მარტზე მოდიოდა, ხოლო ახალი სტილით 4 აპრილს ეთანხმება). მარტყოფის ველზე დაბანაკებულ და ძილს მიცემულ ყიზილბაშებს აჯანყებულ ქართველთა რაზმები ფრთხილად მიუახლოვდნენ. როდესაც განგაში დაცეს, გიორგი სააკაძე თავისი მხლებელი ოთხი ვაჟკაცით, რომელთა შორის იყო მისი ვაჟიშვილი, ავთანდილი, მთავარსარდლის კარავთან გამოცხადდა. აქვე თავი მოიყარეს ირანელთა სარდლებმა და აქ, ყიზილბაშთა სარდლებისა და საომრად გამზადებული ჯარის თვალწინ გიორგი სააკაძეს შუბით განგმირა ცხენზე. შესაჯდომად გამზადებული ყარჩიხა-ხანი. სააკაძის ლომგული თანამებრძოლები სარდლებს დაერივნენ. ამასობაში აჯანყებულმა ქართველებმა მტრის ბანაკს შემოუტიეს და დაბნეული და უსარდლოდ დარჩენილი ყიზილბაშთა ჯარი დაუნდობლად გაანადგურეს. ბრძოლა მთელ დღეს გაგრძელდა. ირანელთა უზარმაზარი არმიიდან მხოლოდ 3.000-მა კაცმა უშველა თავს გაქცევით.

აჯანყებულმა ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. პირსისხლიანი შაჰის ვერაგული განზრახვა ჩაიშალა. მისი რჩეული არმია ქართველებმა შემუსრეს. შაჰ-აბასს ასეთი მარცხი ჯერ არსად ენახა. მისმა სახელგანთქმულმა და თითქმის უძლეველმა არმიამ ქართველი ხალხის ხების წინაშე კატასტროფა განიცადა. ქართლი და კახეთი ერთიანად აჯანყებამ მოიცვა და მტერი განადგურდა.

მარტყოფის ბრძოლის მნიშვნელობა უაღრესად დიდი. მართალია, მოძალადე ირანი ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ მოგერიებული,

მწკვრის პირას, კლდეში...

ესტაკადა ჩელიუსკინელების ხიდთან

ჩელუსკინელების ხიდის ყურესთან, მთის ფერდობზე სამშენებლო მანქანების გუგუნი ისმის. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ფერდობის ნაწილი უკვე კარგა დიდ მანძილზე ჩამოუჭრიათ. ახლა აქ ერთმეორის მიყოლებით თვითმცლელ მანქანებს ჩამოშლილი მიწის გრუნტი გამოაქვთ.

განუწყვეტლივ მუშაობს ექსკავატორი, ბულდოზერის მიერ ჩამოყრილ მიწას ციცხვით სწრაფად ატრიალებს და ასლომდებარე თვითმცლელ მანქანას ავსებს. ცოტა ზემოთ, მთის ფერდობზე რკინის ჩაფხუტებით თავდახურული მუშები აფეთქებულ მთის ნაწილს ქვებისაგან წმენდენ, რომ ქვისცვენისაგან ქვევით მომუშავენი დაიფარონ. ფერდობის გაყოლებაზე, პატარა ბაქანზე საბურღ დანადგართან მუშები კლდის ქანს ბურღავენ, რომ მასში ასაფეთქებელი ნივთიერება ჩააწყონ და ფერდობის ეს ნაწილი მოანგრიონ.

მთის სიღრმეში კვლავ ბულდოზერი მიიკვლევს გზას, ჯარასავით ტრიალებს, მბურღავებისათვის სამუშაო მოედანს ამზადებს.

ასე თანდათანობით მთის ფერდობზე იჭრება ახალი სამანქანო გზა — ესტაკადა, რომელიც ჩელუსკინელების ქუჩას მტკვრის მარჯვენა სანაპიროსთან დააკავშირებს.

სანამ მშენებლებს შევხვდებოდით, „თბილქალაქპროექტის“ ინსტიტუტში ჩელუსკინელების ხიდთან ჩასასვლელი გზის პროექტის არქიტექტორს კ. ნახუცრიშვილს ვესაუბრეთ (საინჟინრო ნაგებობათა პროექტის უფროსი ვ. ლობჟანიძე).

როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელ წლებში ჩვენს დედაქალაქში ტრანსპორტის მოძრაობის ზრდასთან ერთად საჭირო გახდა ერთ-ერთი ყველაზე ინტენსიური სატრანსპორტო კვანძის — გმირთა მოედნის ნაწილობრივ განტვირთვა. სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტას ემსახურება ჩელუსკინელების ხიდთან ახალი სამანქანო გზის — ესტაკადის მშენებლობა.

ახალი გზით შესაძლებელი გახდება სადგურიდან თუ სხვა მიმართულებით მიმავალი ტრანსპორტი ჩელუსკინელების ხიდიდან პირდაპირ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ჩავიდეს, საბურთალო-დიდუბის დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობის დამთავრების შემდეგ საბურთალოს მიმართულებით გავიდეს და პირიქით. მაშასადამე, ამით გმირთა მოედანზე ტრანსპორტის მოძრაობა ერთგვარად განტვირთება.

ახალი გზა ტრანსპორტის ორმხრივი მოძრაობისათვის არის განკუთვნილი. მისი სიგანე 9 მეტრი იქნება, სიგრძე — 400 მეტრზე მეტი. ვინაიდან გზა კლდეში იჭრება, ამ სიგანეზე მთის ფერდობის ჩამოჭრა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამასთან ერთგვარად დამახინჯდებოდა თვით მთის სახე. ამიტომ გადაწყდა გზისთვის ნახევრად დაკიდული, ესტაკადის სახე მიეცათ. ერთი მხრივ იგი დაეყრდნობა ჩამოჭრილი მთის ნაწილს, მეორე მხრივ — რკინა-ბეტონის სვეტებს. ქვევით კი სიცარიელე იქნება, რაც მთას თავის სახეს შეუნარჩუნებს.

პროექტით გათვალისწინებულია რკინა-ბეტონის ასაწყობი ელემენტებისაგან აიგოს 14 მეტრი სიმაღლის ბურჯები.

მშენებლობას აწარმოებს ტრუსტ საქიდროენერგოშენის საინჟინრო ნაგებობათა სამმართველოს № 4 უბანი. სამუშაოთა მწარმოებელ ლ. გიორგაშვილთან ერთად ვთვალიერეთ მშენებლობას. იგი გვიხსნის, რომ უნდა შესრულდეს 90.000 კუბური მეტრი მიწის, შემდეგ კი ბეტონის სამუშაოები. სულ მშენებლებმა ერთი მილიონ 600 ათასი მანეთის სამუშაო უნდა შეასრულონ. მშენებლობა წლის ბოლომდე დამთავრდება.

ლ. გიორგაშვილი გვიხსნელებს მოწინავე მუშებს — კლდეზე მცოცავ ბ. ბერიშვილს, ბ. ხარებაშვილს, მბურღავებს შ. ჩუმაშვილს, გ. გიორგაშვილს, ბ. კვირიკაშვილს, ა. მაჭანკლიძეს, ბულდოზერზე მომუშავე გ. ხუციშვილს, ექსკავატორის მემანქანე მ. გრიშინსა და სხვებს.

გუგუნებს სამშენებლო ტექნიკა. დაბლა, სანაპიროზე კი საქალაქო ტრანსპორტი დასრიალებს. მათი უსაფრთხო მოძრაობისათვის მშენებლებს წინასწარ უზრუნიათ და ხის დიდი მორებისაგან დამცველი ღობე აღუმართავთ.

ლ. ხუბულური.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: (ზემოთ მარცხნივ) — კლდეზე თოკებით დაკიდებულნი მუშაობენ ა. მაჭანკლაძე და ბ. ხარებაშვილი. ისინი ქვებისაგან ასუფთავებენ გზის პირს. (ქვემოთ) — გზის მშენებელთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) მბურღავები — ბ. ბერიშვილი. ი. სუთანინშვილი, ბრიგადირი შ. ბიკაშვილი, მ. გუგეშაშვილი, სამუშაოთა მწარმოებელი კ. ჯანგიძე; ექსკავატორი ერთიმეორის მიყოლებით ისტუმრებს მიწის გრუნტით დატვირთულ ავტომანქანებს.

ბ. ᲒᲝᲒᲝᲜᲘᲐᲡ ფოტო.

პენალტებმა გადაწყვიტა...

„ᲖᲔᲜᲘᲗᲘ“ (ლენინგრადი) — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბილისი) — 0:0, პენალტებით — 2:4.

6 Ა�პᲠᲘᲚᲘ, სოჩი, ცენტრალური სტადიონი. მსაჯი მ. რუბენისი (რიგა).

„ᲖᲔᲜᲘᲗᲘ“ — ოლეინიკი, ა. დერიომოვი, ი. დერიომოვი, გოლუბევი, ზაგუშენხი, სადირინი, ხტრეპეტოვი, ნიკოლაევი, მარკინი, ზინჩენკო (ივანოვი), გრებენო